

ნინო დოლიძის

თარგმანი

უოლტ უიტმენი

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! ჩვენი სახიფათო მგზავრობა დასრულდა,
გემმა გაიარა ყველა განსაცდელი და ბოლოს მივიღეთ ის ჯილდო, რაც გვსურდა,
პორტი ახლოსაა, ზარების ხმა მესმის – ზღვა ხალხი ზეიმობს და ჰმადლობს
განგებას,
იმედით გაჰყურებს ხომალდის სიმტკიცეს, გემს ურყევს, ავბედითს, მედგარს და
გამბედავს.

მაგრამ ო, ეგ გული სისხლისგან დაცლილი!

წვეთ-წვეთად დაცლილი გული განგმირული...

სისხლიან გემბანზე ჩემი კაპიტანი

წევს და განისვენებს ცივი, გარინდული.

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! წამოდექი და შენც გაიგონე – რეკავენ ზარებს,
წამოდექ – ეს დროშაც ხომ შენთვის ფრიალებს, ხომ შენთვის ჩაჰბერეს ბუკსა და
ნადარებს,
შენ გეგებება თაიგულებით და ბაფთიანი გვირგვინებით სავსე ნაპირი,
შენ მოგელიან მოუთმენლად და მოგიხმობენ, შენთვის მოისმის ნაპირიდან
ხალხის მახილი.

აქ არის კაპიტანი! ძვირფასო მამა,
ხელი შენს სასთუმლად მე მაქვს დადებული,
ნუთუ მესიზმრება, რომ აქ, ამ გემბანზე
წევხარ, განისვენებ ცივი, გარინდული.

არაფერს მპასუხობს ჩემი კაპიტანი, დადუმებულან ბაგენი მკრთალი,
ვეღარც ჩემს მკლავს გრძნობს, არც გული უცემს, არც ძალა შესწევს, არც უჭრის
თვალი,
მარჯვედ მიადგა გემი ნავსადგურს, ყველა სირთულე დაძლეულია,
დასრულდა დიდი და საშიში მოგზაურობა, მისი მიზანიც მიღწეულია.

იხარეთ, ნაპირებო, რეკეთ, ზარებო!
მე კი მგლოვიარე და გულდაბინდული
გავივლი გემბანზე, სადაც კაპიტანი
წევს და განისვენებს ცივი, გარინდული.